

დადგენილება 36/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და პანდემიით გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარების წესისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე

დადგენილება №36 /2020

16 ივნისი 2020

დადგენილება 36/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და პანდემიით გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარების წესისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის N21 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და პანდემიით გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურები.
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
3. წინამდებარე დადგენილება გადაიგზავნოს ყველა სტრუქტურულ ერთეულთან
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters. The signature appears to be 'მ. მ. მ.' (M. M. M.) with a period at the end.